“დინამო” ჩემპიონატის ლიდერია

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 30 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “მოლდოვა” (კიშინიოვი) 2:0 (1:0).

“მოლდოვა”: შაპავალენკო, აფონინი, ლარინი, ზელენიაევი, კოლბა??იუკი, კოვაჩი, ტატუშინი, მირონოვი, გორშკოვი (კობლიანსკი), ცინკლერი, პინზერი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, მელაძე, იამანიძე (პეტრიაშვილი), მელაშვილი, გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია, დათუნაშვილი.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

გასულმა კვირამ ერთგვარი სიცხადე შეიტანა ფეხბურთის სტატისტიკაში. ბოლოს და ბოლოს ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ პირველი და მეორე ქვეჯგუფების გუნდები. ბოლო მოეღო 6-თვიან დავას იმის შესახებ თუ ვისი ქულებია უფრო მტკიცე და მყარი - კიევის “დინამოსი” და ცსკა-სი, თუ ვთქვათ თბილისისა და მოსკოვის დინამოელების.

ასეთ პირობებში ყველაზე უტყუარი საზომია ფაქტები. პირველი ტურის შემდეგ არითმეტიკა აშკარად მეორე ქვეჯგუფის სასარგებლოდ ამეტყველდა. ჩატარებულ 6 შეხვედრაში მეორე ქვეჯგუფის გუნდებმა 10 ქულა აიღეს, მათ მეტოქეებმა კი მხოლოდ ორი. გადამწყვეტი ბრძოლების სიმძაფრეს ნაწილობრივ გაუძლეს პირველი ქვეჯგუფის ლიდერებმა კიევის “დინამომ” და დედაქალაქის არმიელებმა. ოთხი დანარჩენი კოლექტივი კი ამ რაზმიდან (ლენინგრადის “ზენიტი”, როსტოვის სკა, დონეცკის “შახტიორი” და კიშინიოვის “მოლდოვა”) დამარცხებულის უსიამოვნო როლში აღმოჩნდა. ასეთია ფინალური ტურნირის პირველი დღის შეხვედრათა ბალანსი.

თავისი ქვეჯგუფის რეპუტაციის დაცვა პირველ მატჩში თბილისის “დინამოს” კიშინიოვის “მოლდოვასთან” მოუხდა. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ეს დაცვა იყო მსუბუქი, იოლი და დამაჯერებელი. “დინამო” და “მოლდოვა” განსხვავებული კლასის გუნდებია და ეს იგრძნობოდა 90-წუთიანი ბრძოლის ყოველ უბანზე.

“მოლდოვამ” ერთადერთი კარგი, რაც ამ თამაშში გვიჩვენა, იყო მონდომება, ენერგიის უშრეტი მარაგი. მაგრამ მხოლოდ ამ თვისებებით ძნელია წარმატებაზე ფიქრი. მატჩის ანგარიში (2:0) ამომწურავად არ გამოხატავს გუნდების ძალთა შეფარდებას და ამაში პირველ რიგში დამნაშავენი არიან მასპინძლები. “დინამოს” რომ მეტი სპორტული ჟინით ეთამაშა, ანგარიში გაცილებით უფრო სოლიდური იქნებოდა (და ვინ იცის იგი სად გამოგვადგებოდა).

შეხვედრის პირველ 10 წუთს რეალური არაფერი მოუცია. “დინამო” მსუბუქად, ოდნავ აკადემიურ მანერაში სინჯავდა მეტოქის სისუსტეებს. “მოლდოვამ” ამავე ხნის განმავლობაში გაცილებით მეტი ენერგია დახარჯა. მისი მოთამაშეები გამუდმებით მოძრაობდნენ, მაგრამ მათი მონდომება მოედნის შუაგულს არ გასცილებია.

მე-11 წუთზე “დინამომ” პირველი სახიფათო კომბინაცია განახორციელა, ხოლო სამი წუთის შემდეგ მან გახსნა კიდეც ანგარიში. ეს ასე მოხდა: გ. სიჭინავამ მოედნის შუაგულში წამოიწყო კომბინაცია და გადააწოდა ბურთი იამანიძეს, რომელმაც მოულოდნელი დარტყმით 25 მეტრიდან ბურთი გაგზავნა კარის მარცხენა კუთხეში. მეკარე შაპოვალენკომ, რომელიც დახურული იყო თავისი მცველებით, ბურთი გაუშვა კარში. “დინამომ” წაიყვანა ანგარიში - 1:0.

21-ე წუთზე “მოლდოვას” თავდამსხმელებმა პირველი დარტყმა განახორციელეს დინამოელთა კარში, მაგრამ იგი ადვილად მოიგერია კოტრიკაძემ. ინიციატივა კვლავინდებურად მასპინძლებს ეპყრათ ხელთ, რომლებიც მეთოდურად ამზადებდნენ კარის ასაღებ მომენტს. მაგრამ პირველ ტაიმში ანგარიშის გაზრდა ვერ მოხერხდა. კიდევ მეტი, 45-ე წუთზე გორშკოვმა უძლიერესი დარტყმით კრიტიკულ მდგომარეობაში დააყენა თბილისელთა კარი და მხოლოდ კოტრიკაძის გასაოცარმა რეაქციამ განმუხტა მომენტი.

მეორე ნახევარი პირველის ანალიგია იყო ყოველმხრივ: კვლავ დინამოელთა უპირატესობა და კვლავ კიშინიოველთა უშედეგო, მაგრამ თავგანწირული თამაში. მეოთხე

წუთზე კალოევმა მიიღო ზუსტი გადაცემა ბარქაიასაგან, ოსტატურად აუარა გვერდი მცველებს და ღია კარში დაარტყა. ანგარიში ორამდე გაიზარდა. დარჩენილ დროში ორსავე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს. "დინამოს", როგორც ჩანს აწყობდა ანგარიში, ხოლო "მოლდოვა" შეეგუა დამარცხებას.

თბილისის "დინამომ" თავის აქტივში კიდევ ორი ქულა ჩაიწერა და ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის მებრძოლ გუნდთა სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა.

ნ. გუგუშვილი.
"ლელო" 2 ოქტომბერი, 1962 წ.